



დაშვების სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემით აღჭურვილი
საბაგირო საევაკუაციო მოწყობილობის სასინჯი ეგზემპლარის
დამზადება და გამოცდა

აღწერა

სამთო ინსტიტუტის ტრანსპორტის სპეციალური სახეობების, საიმედოობის და დიაგნოსტიკის განყოფილების სამეცნიერო ჯგუფმა 2004-05 წლებში დაიწყო მუშაობა აღნიშნულ პრობლემაზე. სამეცნიერო კვლევის შედეგად დამუშავდა ორიგინალური საევაკუაციო მოწყობილობა, 2008 წელს საგრანტო დაფინანსებით შეიქმნა ექსპერიმენტული ეგზემპლარი და ჩატარდა ლაბორატორიული ცდები, სადაც ნაჩვენებია იქნა, რომ შესაძლებელია დამუშავებული ორიგინალური კონსტრუქციის ბაზაზე მომზადდეს მასობრივი წარმოებისთვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი პროდუქტი - ავტომატური საბაგირო საევაკუაციო მოწყობილობა.




ინოვაციური ასპექტი და ძირითადი უპირატესობები

მოწყობილობის მთავარი განმასხვავებელი თვისება არსებულთაგან შედარებით მდგომარეობს ევაკუაციის სიჩქარის პერიოდული ავტომატური რეგულირების მექანიზმში.

საბაგირო საევაკუაციო მოწყობილობის ექსპერიმენტალური მოდელი

გამოყენების სფეროები

- სამხედრო სფეროში – ვერტმფრენებიდან სამხედროების და ტვირთების სწრაფი და უსაფრთხო დესანტირებისათვის. აქ აღსანიშნავია, რომ დაშვების დროს თოკზე მყოფ ჯარისკაცს ეძლევა სრული შესაძლებლობა დაშვების პროცესშივე აქტიურად ჩაერთოს საბრძოლო მოქმედებებში, ვინაიდან დაშვება შეიძლება განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში.
- სხვადასხვა სახის მაღლივი ვერტიკალური სამონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს;
- საბაგირო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობიდან მგზავრთა უსაფრთხოდ ევაკუაციისათვის;
- მაღლივი შენობებიდან და საინჟინრო ნაგებობებიდან განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგ. ხანძრები, ტერორისტული აქტები, მიწისძვრები და სხვა სახის კატასტროფები) ადამიანთა ევაკუაციისთვის, როდესაც სხვა სახის სამამშველო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია ან უკიდურესად შეზღუდულია;
- ექსტრემალური სპორტის სახეობებში – ალპინიზმი, ვერტიკალური სპელეოლოგია, კანიონინგი, ჯამპინგი და ა.შ. – ვერტიკალური დაშვებისთვის.



საბაგირო საევაკუაციო სისტემის ფუნქციონირების მოდელირება (SYMLINK)-ის საშუალებით

დამუშავების სტადია

ლაბორატორულ პირობებში დამზადებულია და გამოცდილია საცდელი მოწყობილობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი
აკადემიური დოქტორი გიორგი ნოზაძე
ტელეფონი: +(995 32) 2326991
ელ-ფოსტა: g_nozadze@yahoo.com